სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

18 ივლისი, 2011 წელი, №70

სასჯელი არასრულწლოვანით ვაჭრობისათვის და გასამართლებული მეან-გინეკოლოგი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის მსჯავრდებულების საქმის განხილვა. სისხლის სამართლის პალატამ დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მანანა აბესლამიძის, ქეთევან დიასამიძისა და ლიანა ხალვაშისათვის დადებული საპატიმრო სასჯელი სამართლიანია და აპელანტების მოთხოვნა მსჯავრის შემსუბუქების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2

21-წლიანი პატიმრობა განზრახ მკვლელობისა და ქურდობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ოთხი ბრალდებულის საქმის განხილვა. მათ ბრალად ედებოდათ ოლგა ე-ს განზრახ მკვლელობა, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ბინაში შეღწევით ჩადენილი ქურდობა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა.

2

მსჯავრდებულს სასჯელი 24 წლით შეუმცირდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თაღლითობისათვის მსჯავრდებულ ზ.რ-ს სასჯელი 30-დან 6 წლამდე შეუმცირდა. გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მსჯავრდებულის დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვით, ბრალზე გარიგების საფუძველზე მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

4

არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

მიმდინარე წლის 5 თვის სტატისტიკის მიხედვით, სასამართლოებში გაიზარდა აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი და შესაბამისად, შემცირდა დაპატიმრების გამოყენების რიცხვი. გაიზარდა ასევე, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობაც. სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები ასეთია:



არასაპატიმრო სასჯელების რიცხვი გაიზარდა

2011 წლის 5 თვის მონაცემებით, აღმკვეთი ღონისძიებების საერთო რაოდენობაში გაიზარდა გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. თუ 2010 წლის 5 თვის მონაცემებით, აღმკვეთი ღონისძიების საშუალებად პატიმრობას იყენებდნენ საქმეთა 53,3 პროცენტზე, გირაოს კი 45,6 პროცენტზე, 2011 წლის მონაცემებით, შემცირდა დაპატიმრების რიცხვი და გაიზარდა გირაოს გამოყენების მაჩვენებელი - დაპატიმრება 47,8 პროცენტი, გირაო 52 პროცენტი.

ანუ, დღეს არსებული სიტუაციის ანალიზის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულ პირთა დიდი ნაწილი სასამართლო სხდომას გარეთ, თავისუფლებაზე მყოფი ელოდება.

რაც შეეხება, უკვე დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელის გამოყენების მაჩვენებელს: 2011 წლის 5 თვეში მსჯავრდებული 7927 პირიდან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 3317 პირს, სულ მსჯავრდებულთა 41,8 პროცენტს. 2010 წლის იმავე პერიოდში სასჯელის სახით პატიმრობა მიესაჯა 48,1 პროცენტს.

პატიმრობის რიცხვის შემცირება აისახა ისეთი არასაპატიმრო ღონისძიებების ზრდაზე,

როგორიცაა პირობითი მსჯავრი და ჯარიმა.

2011 წლის 5 თვის მონაცემებით, პირობითი მსჯავრი მიესაჯა 4173 პირს, ანუ მსჯავრდებულთა 52,6 პროცენტს, ხოლო ჯარიმა 402 პირს (5,1 პროცენტი).

გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა

2011 წლის 5 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 15 პირის მიმართ გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი. სტატისტიკის მიხედვით, ეს რიცხვი 3,5-ჯერ მეტია წინა წლის იმავე პერიოდში გამოტანილ გამამართლებელ განაჩენებთან შედარებით.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები

მიმდინარე წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ერთმანეთის მიყოლებით გამოიტანა გამამართლებელი განაჩენები. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეებმა იხელმძღვანელეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმით, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

22 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თვითნებურ ქმედებაში ბრალდებული გაამართლა. ზურაბ ბაღდაროვს ბრალი თანასოფლელი ნანა ჯ-ის ოჯახიდან საყოფაცხოვრებო ნივთების თვითნებურად წაღებაში ედებოდა, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების მასალების მიხედვით, ნ. ჯ-მ ბრალდებულის კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან აღებული პროდუქტის ვალის - 114 ლარის გადახდა დააგვიანა. სწორედ ამ ვალის სანაცვლოდ წაიღო ზ. ბაღდაროვმა ნ. ჯ-ის სახლიდან ტელევიზორი და "დვდ" მაგნიტოფონი. შს სამმართველოში ოჯახის დიასახლისის ჩივილის შემდეგ ბაღდაროვის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებსა და საქმის სხვა მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ბრალდებულს თვითნებური ქმედება არ ჩაუდენია. ნანა ჯ-ის მეუღლემ გურამ შ-მ სასამართლოზე დაადასტურა, რომ ბაღდაროვს მისი სახლიდან საყოფაცხოვრებო ნივთები ძალადობით არ წაუღია. ისინი შეთანხმებული იყვნენ, რომ ვალის გასტუმრების შემდეგ თავის ნივთებს დაიბრუნებდნენ.

სასამართლომ ზურაბ ბაღდაროვს ბრალდება მოუხსნა და იგი უდანაშაულოდ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა 29 აპრილს. იმედა სირბილაძეს ბრალი ედებოდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში მდებარე სასურსათო მაღაზიის ქურდობის მცდელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მოწმის ჩვენება, რომლის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს კვლავ მსჯავრდებულების უფლებებთან და მდგომარეობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს გასცემს.

ვალერი მაისაია, 20 წლის:

- თუკი მსჯავრდებულის გათავისუფლება ემთხვევა უქმე დღეებს, როდის უნდა მოხდეს მისი გათავისუფლება - უქმე დღეებამდე თუ მას შემდეგ? გათავისუფლებისას მას ეძლევა თუ არა რაიმე ცნობა?

- მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდის დამთავრების დღის წინა დღეს. თუ გათავისუფლების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს. გათავისუფლებისას მას მიეცემა სათანადო ცნობა. გათავისუფლებულ მსჯავრდებულს უბრუნდება პირადი ნივთები და ტანსაცმელი, რომლებიც ინახებოდა ადმინისტრაციაში.

ელისო ღვალაძე, 38 წლის:

- კანონით, რა შემთხვევაშია დასაშვები მსჯავრდებულის მიმართ დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება და მისი განცალკევება სხვა მსჯავრდებულებისგან? კანონი იძლევა თუ არა უფლებას, ქალი მსჯავრდებულებისთვის და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის დამაწყნარებელი პერანგი გამოიყენონ?

- მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, დასაშვებია მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება, მისი განცალკევება სხვა მსჯავრდებულებისგან, დროებით სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, სამარტოო საკანში მოთავსება არა უმეტეს 24 საათისა. ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის ნებართვით და თანაც იმ შემთხვევაში, თუკი კონტროლის სხვა საშუალებები არაეფექტური აღმოჩნდება. დამაწყნარებელი პერანგის გამოყენების შესახებ დირექტორმა უნდა აცნობოს სამედიცინო მუშაკს. ქალი მსჯავრდებულებისთვის და და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის დამაწყნარებელი პერანგი არ გამოიყენება.

მარიამ გულიკაშვილი, 23 წლის:

- რამდენ საათს გრძელდება გრძელვადიანი პაემანი და ვის უნდა მიმართოს ამ პაემნის მსურველმა, ვისზე არ ხორციელდება გრძელვადიანი პაემანი?

- გრძელვადიანი პაემანის ხანგძლივობა შეადგენს არაუმეტეს 24 საათის. გრძელვადიან პაემანთან დაკავშირებით, ადმინისტრაცია წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული ორი კვირით ადრე და მათ პაემანის ორგანიზება უნდა უზრუნველყონ განცხადების შესვლის დღიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზეც განმცხადებელი ინფორმირებული უნდა იყოს 10 დღის განმავლობაში. ხანგრძლივი პემანი არ ეძლევათ დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს, გარდა უვადო თავისუფლება აღკვეთილებისა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც საკარანტინო რეჟიმში იმყოფებიან, დაკისრებული აქვთ დისციპლინარული სახდელი ან შეფარდებული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა.

ხანგრძლივი პაემნის მიცემის საკითხს წვეტს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი.

სასამართლო ქრონიკა

სასჯელი არასრულწლოვანით ვაჭრობისათვის და გასამართლებული მეან-გინეკოლოგი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის მსჯავრდებულების საქმის განხილვა. სისხლის სამართლის პალატამ დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მანანა აბესლამიძის, ქეთევან დიასამიძისა და ლიანა ხალვაშისათვის დადებული საპატიმრო სასჯელი სამართლიანია და აპელანტების მოთხოვნა მსჯავრის შემსუბუქების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალების მიხედვით, 23 წლის მსჯავრდებულმა ქეთევან დიასამიძემ არასასურველი შვილის გაყიდვის გადაწყვეტილება ორსულობის პერიოდშივე მიიღო. ამაში მას ბათუმის სამშობიარო სახლის სანიტარი მანანა აბესლამიძე დაეხმარა. იგი დაუკავშირდა თავის ნაცნობ ლიანა ხალვაშს, რომლის ქალიშვილსა და სიძეს ახალშობილის შვილად აყვანა სურდათ. მამრობითი სქესის ბავშვი 2010 წლის 7 აგვისტოს ბათუმში, ინასარიძის ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ ბინაში დაიბადა. იმავე დღეს ლიანა ხალვაშმა იგი მშვილებელ დედასთან წაიყვანა. სანაცვლოდ კი, ბავშვის გენეტიკურ მშობელზე გადასაცემად მანანა აბესლამიძეს 500 დოლარი გადასცა. სასამართლო გამოძიების დროს ეს ფაქტი სამივე მსჯავრდებულმა დაადასტურა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ახალშობილის გაყიდვისათვის მანანა აბესლამიძესა და ქეთევან დიასამიძეს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ამავე განაჩენით, მსჯავრდებულ ლიანა ხალვაშს კი შვილად აყვანის მიზნით ახალშობილის ყიდვისთვის სასამართლომ მსჯავრად 6 თვის ვადით გამასწორებელი სამუშაო განუსაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კი, კიდევ ერთი გახმაურებული საქმის განხილვა დაასრულა. გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა ექიმ მეან-გინეკოლოგ ნადეჟდა გაბრიჩიძეს, რომელიც უკანონო აბორტის გაკეთებაში იყო ბრალდებული.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 12 მარტს, 39-40 კვირის ორსული გინეკოლოგიური კონსულტაციის მისაღებად მეან-გინეკოლოგ ნადეჟდა გაბრიჩიძესთან სახლში მივიდა.

გამოზიების მონაცემებით, მას არ გააჩნდა პაციენტთა მომსახურების სათანადო ლიცენზია, არ ჰქონდა პირობები პაციენტთა მისაღებად, ასევე ტექნიკური საშუალებები და სტერილური სამედიცინო ხელსაწყოები. მან არასათანადო პირობებში, კერძოდ, უკიდურეს სიბინძურეში - ოთახში, სადაც მედიკამენტები და ხელსაწყოები უწესრიგოდ იყო მიმოფანტული, გადაწყვიტა გაეკეთებინა უკანონო აბორტი. ნაყოფს მუხლის სახსრის დონეზე მოკვეთა მარჯვენა წვივი, ასევე მარცხენა ფეხის თითების ფალანგები და თავისსავე საცხოვრებელ ბინაში მდებარე უნიტაზში ჩარეცხა. გაკეტებული აბორტის შედეგად პაციენტის მდგომარეობა გართულდა.

როგორც საქმის მასალებშია ნათქვამი, ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, ექიმებმა ნადეჟდა გაბრიჩიძის ქმედებით უკვე გარდაცვლილი მდედრობითი სქესის ნაყოფი ორგანიზმიდან გამოდევნეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ნაყოფის სიკვდილი მშობიარობამდე, მუცლად ყოფნის პერიოდში დადგა.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას, ბრალდებულმა დანაშაული ფაქტობრივად აღიარა. მისი ბრალეულობა ასევე დადასტურდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების და ამოღების ოქმებით, დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნივთმტკიცებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნადეჟდა გაბრიჩიძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 2 წლის და 6 თვით პატიმრობა.

21-წლიანი პატიმრობა განზრახ მკვლელობისა და ქურდობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ოთხი ბრალდებულის საქმის განხილვა. მათ ბრალად ედებოდათ ოლგა ე-ს განზრახ მკვლელობა, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ბინაში შეღწევით ჩადენილი ქურდობა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა.

საქმის მასალების მიხედვით, რომან ბერიძემ განიზრახა მაია ე-ს დედის საცხოვრებელი ბინა, სადაც ძვირად ღირებული ნივთები ეგულებოდა გაექურდა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა მეგობარ ჯემალ უკლებას, რომელსაც აჩვენა აღნიშნული საცხოვრებელი ბინა, ასევე ოლგა ე-ს კუთვნილი სავაჭრო ობიექტები და გადასცა ბინის გასაღები. ჯ. უკლებამ განზრახვა გაუზიარა სოლომონ ბუაძეს, თუმცა ვერ დაითანხმა დანაშაულში თანამონაწილეობაზე და იგივე წინადადებით მიმართა მეგობარ - კახა რობაქიძეს. ჯ. უკლება და კ. რობაქიძე 2011 წლის 18 თებერვალს შეხვდნენ ერთმანეთს ს. ბუაძის ბინაში, სადაც დალიეს, რის შემდეგაც ჯ. უკლებამ მორგებული გასაღებით გააღო ბინის კარები და შეაღწია ბინაში, სადაც მას დახვდა ბინის მეპატრონე ოლგა ე. რომელსაც ეძინა. ჯ. უკლებამ ოლგა ე. ბალიშით გაგუდა და კახა რობაქიძე ბინაში შევიდა.

აღნიშნული პირები ფარულად დაეუფლნენ ოლგა ე-ს კუთვნილ ფულს - 9 ათას დოლარს, 13000 ლარს და 150 ევროს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ სოლომონ ბუაძის ბინაში და ნაქურდალი ფული გაინაწილეს კახა რობაქიძემ, ჯემალ უკლებამ და რომან ბერიძემ, ხოლო სოლომონ ბუაძეს დუმილის სანაცვლოდ გადასცეს 500 ლარი. აღნიშნული დანაშაულის დეტალები, ასევე ცნობილი გახდა ბადრი ბუცხრიკიძისთვის, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ბუაძის ბინაში, თუმცა მან არ განაცხადა სამართალდამცველ ორგანოებთან მომხდარი დანაშაულის შესახებ.

საქმის არსებითი განხილვისას ყველა ბრალდებულმა, გარდა ჯემალ უკლებასი, რომელიც თავს არიდებს მართლმსაჯულებას და იმყოფება მიმალვაში, აღიარა ჩადენილი დანაშაული და ამხილეს ჯ. უკლება ოლგა ე -ს მკვლელობაში.

გარდა ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებებისა სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, რობაქიძის მობილური ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ნუსხის, სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ქიმიური, დაქტილოსკოპიური, ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე სრულად დადასტურებული ბრალდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა ბრალის აღიარების საფუძველზე, პრკურორსა და სოლომონ ბუაძესა და ბადრი ბუცხრიკიძეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის სოლომონ ბუაძეს სასჯელის სახედ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, საიდანაც 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი 2 წელი ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ბადრი ბუცხრიკიძეს სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. კახა რობაქიძეს, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში შეღწევით ოლგა ე-ს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების დაუფლების ფაქტზე, სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 3 თვის ვადით.

რაც შეეხება ძებნაში მყოფ ჯემალ უკლებას, სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო ოლგა ე-ს განზრახ მკვლელობაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ბინაში შეღწევით, ამ უკანასკნელის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების დაუფლებაში და მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მართლმსაჯულება

არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

სასამართლომ საქმე შეწყვიტა 23 პირის მიმართ. რაც იმას ნიშნავს, რომ შეწყვეტილი საქმეების დროს ბრალდებულის მიმართ ფაქტობრივად, გამართლების ტოლფასი გადაწყვეტილება გამოდის.

ასევე, საინტერესოა, მთლიანობაში მსჯავრდებულთა სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენების ხვედრითი წილი - 27 პროცენტს აღწევს.



საპროცესო შეთანხმებები

2010 წლის 5 თვესთან შედარებით, 2011 წლის 5 თვეში, სასამართლოებში საპროცესო შეთანხმებით შესული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 3,8 პროცენტით, ხოლო საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეები - 1,2 პროცენტით.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობა გასული წლის 5 თვის მონაცემებთან შედარებით - 76,2 პროცენტიდან გაიზარდა 86,2 პროცენტამდე.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში გაიზარდა, როგორც შესული (33,8 პროცენტით), ასევე განხილული საქმეების (42,5 პროცენტით) რაოდენობაც.

შესაბამისად გაიზარდა (44,3 პროცენტით) გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობაც და 2011 წლის 5 თვეში შეადგინა 8832 საქმე.

განსხვავებული ტენდენცია შეიმჩნევა ადმინისტრაციული საქმეების ანალიზის დროს.

2011 წლის 5 თვეში, 2010 წლის 5 თვესთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემცირდა როგორც შესული (3,5 პროცენტით), ასევე განხილული საქმეების (14 პროცენტით) რაოდენობა.

შემცირდა ასევე გადაწყვეტილების გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობა და მიმდინარე წელს შეადგინა 2752 საქმე.

161 საქმით, ანუ 55 პროცენტით შემცირდა მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა.

ადმინისტრაციული დავები

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 5 თვეში საკასაციო საჩივრით განიხილა 905 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 391 საქმე (43,3 პროცენტი), ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ 502 საქმე (55,5 პროცენტი). დაახლოებით იგივე თანაფარდობა დაფიქსირდა საგადასახადო დავების განხილვისას. საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 52 საქმე, ანუ 40,9 პროცენტი, ფიზიკური პირების სასარგებლოდ კი 69 საქმე, ანუ 54,3 პროცენტი.



მკვლელობით დასრულებული "ქუჩური გარჩევა"

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა საქმის განხილვა, რომელიც ახალგაზრდებს შორის მომხდარ "ქუჩური გარჩევას" ეხება.

საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის ნოემბრის თვეში, თორნიკე გიგოლაშვილმა ტელეფონით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გიორგი კენჭაძის მეგობარ გოგონას, რამაც კენჭაძესა და გიგოლაშვილს შორის ურთიერთობა გაართულა. მომხდარ ინციდენტს "ქუჩური გარჩევები" მოჰყვა, რა დროსაც ახალგაზრდები სასტიკად გაუსწორდნენ ერთმანეთს.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებული შუღლი, მხოლოდ ამ შემთხვევით არ დასრულებულა. თორნიკე გიგოლაშვილმა გამოძიებისთვის დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა გადაჭრილი სანადირო თოფი ე.წ. აბრეზი. ის ელოდებოდა შესაბამის მომენტს, როდესაც საშუალება მიეცემოდა, რომ გიორგი კენჭაძეზე შური ეძია.

2010 წლის 30 დეკემბერს, თორნიკე გიგოლაშვილმა შეიტყო, რომ გიორგი კენჭაძე მეგობრებთან ერთად სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც თავის არასრულწლოვან მეგობართან ერთად მივიდა. იგი გიორგი კენჭაძეს არ დალაპარაკებია, ცეცხლსასროლი დაუმიზნა და ერთხელ გასროლა. გიორგი კენჭაძე მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიების დასრულების შემდეგ, საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა. სასამართლო განხილვისას, არასრულწლოვანმა ბრალდებულმა სრულად აღიარა დანაშაული. გარდა მისი აღიარებითი ჩვენებისა, თორნიკე გიგოლაშვილის ბრალეულობა დადასტურდა დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ, თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებებით, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის და ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

სასამართლომ თორნიკე გიგოლაშვილს, რომელიც იძებნება, განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარებისათვის 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა. არასრულწლოვან ბრალდებულთან კი დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 1 წელს მოიხდის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობით 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

Vox Populi

რამაზ თედიაშვილი, 60 წლის:

- "პატიმრობის კოდექსით" დადგენილი წესების გარდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფებისთვის, არსებობს თუ არა რაიმე ბრძანებულება ჰიგიენური მდგომარეობის დასაცავად?

- არსებობს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ დაწესებულებაში მყოფ პირთა სათავსების არქიტექტურულ-ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა და აღჭურვა უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, პირადი ჰიგიენის დაცვის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობის შესაძლებლობას ადამიანის პატივისა და ღირსების შეულახავად.

აღნიშნული კი გულისხმობს, რომ სასჯალაღსრულების დაწესებაში მყოფი პირის ხარისხიანი, უსაფრთხო და საკმარისი სასმელი წყლით უზრუნველყოფას (არანაკლებ 2,5 ლიტრი ერთ პირზე დღეში); პირადი ჰიგიენის წესების (ხელ-პირის დაბანა, პირის ღრუს ჰიგიენური დამუშავება, სხეულის დაბანა არანაკლებ კვირაში ერთხელ, საპარიკმახერო მომსახურება: პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) შესრულებისათვის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ცენტრალიზებულ ქსელთან მიერთებული, შესაბამისად აღჭურვილი სანიტარიულ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით და ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი) უზრუნველყოფას; საწოლითა და ლოგინით (ლეიბი, ბალიში, საბანი) უზრუნველყოფას; სუფთა თეთრეულით არანაკლებ კვირაში ერთხელ უზრუნველყოფას, აგრეთვე, სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლის მიწოდებასა და ცვლას დაბინძურების მიხედვით.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებაში ასევე ნათქვამია, რომ ბრალდებულებისთვის და მსჯავრდებულებისთვის თმების მთლიანი გადაპარსვის იძულება დაუშვებელია, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.

თეიმურაზ ჭიჭინაძე, 40 წლის:

- აქვთ თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომსახურეებს იარაღის გამოყენების უფლება და თუ აქვთ რა შემთხვევაში?

- თუ მსჯავრდებული თავს დაესხმება ვინმეს ან ჩაიდენს სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც ემუქრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, დასაშვებია დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუკი სხვა საშუალებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. რაც მთავარია, გამოყენებული ძალა უნდა იყოს იმ საფრთხის პროპორციული, რომელსაც მსჯავრდებული უქმნის გარშემომყოფებს.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის შემთხვევაში, გამონაკლისი ღონისძიების სახით, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუკი სხვა საშუალებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. ამ შემთხვევაშიც, კანონი მკაცრად განსაზღვრავს, რომ გამოყენებული ძალა უნდა ყოს იმ საფრთხის პროპორციული, რომელიც შესაძლებელია საზოგადოებას დაემუქროს მსჯავრდებულის გაქცევის შემთხვევაში. გამოყენებული ძალა უნდა იყოს მინიმალური, რაც აუცილებელია გაქცეული მსჯავრდებულის შესაჩერებლად. ქალთა და არასრულწლოვანთა გაქცევის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, კანონით, დაუშვებელია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები

პირველი გვერდიდან

მიხედვით, მაღაზიის დარაჯი თამაზ ფ. უშუალოდ შეესწრო ქურდობის მცდელობის ფაქტს და ბრალდებულიც ამოიცნო. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალიბით - მაგთის სატელეფონო ზარების ამონაწერითა და მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის ღამეს - 2010 წლის 14 ივლისს ბრალდებული იმყოფებოდა თბილისში. ამდენად შეუძლებელი იქნებოდა წყალტუბოს რაიონში მის მიერ დანაშაულის ჩადენა. იმედა ს.-ს მოცემულ დანაშაულში მონაწილეობის ფაქტი არ დადასტურდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის ანაბეჭდებითა და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზითაც. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მაღაზიის დარაჯი, შესაძლებელია კეთილსინდისიერად შეცდა, ხოლო იმედა სირბილაძის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ ცნო.

ი. სირბილაძე ამჟამად სასჯელს სხვა დანაშაულისათვის, კერძოდ ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის იხდის და სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ იგი გათავისუფლდება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

8 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ნოდარ გიორგაძის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. ნოდარ გიორგაძეს ბრალი ედებოდა ბაღდათის რაიონში მცხოვრები ზ.ლ-ს საკარმიდამო ნაკვეთის მავთულბადის ღობისა და რამდენიმე ძირის ვაზის ნარგავების განზრახ დაზიანებაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1 ნაწილით. საქმის გარემოებების შესწავლისა და მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად, სასამართლომ გაარკვია, რომ ნოდარ გიორგაძემ სახლის მახლობლად გაჭრა წყლის არხი, რასაც შესაძლებელია გამოეწვია მეზობლის ზ.ლ-ის ღობის და ვაზის ნერგების დაზიანება, ხოლო ნოდარ გიორგაძის ქმედებაში რაიმე განზრახვა რომ მეზობლისთვის მიეყენებინა ზიანი არ დადასტურდა. აღნიშნულის გათვალისწინებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ ნოდარ გიორგაძე უდანაშაულოდ ცნო.

31 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოქალაქე ზაალ კაპანაძეს გამოუტანა გამამართლებელი განაჩენი. ზაალ კაპანაძეს ბრალი ედებოდა წყალტუბოს რაიონში მცხოვრები ქ.ს-ს საცხოვრებელ სახლში შეღწევასა და ბინის ხელშეუხებლობის დარღვევაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის 1 ნაწილით. საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლომ გაარკვია, რომ ნასვამი ზაალ კაპანაძე ქ.ს-ს საცხოვრებელ სახლში შემთხვევით აღმოჩნდა. მას გაცნობიერებული არ ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და არც სხვისი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის წინასწარი განზრახვა გააჩნდა. აღნიშნულის გათვალისწინებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ ზაალ კაპანაძე უდანაშაულოდ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 22 მარტს კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ირაკლი ივანეიშვილს ბრალი ედებოდა ქუთაისში სკვერიდან ბეტონის კონსტრუქციებისაგან ჩამოსხმული საყვავილის ქურდობის მცდელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ თანაბარი პირობები შეუქმნა მხარეებს, მოისმინა დაცვისა და ბრალდების მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ირაკლი ივანეიშვილის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენისაში ბრალდებული ნუგზარ ახალაია. სასამართლომ საქმის მასალების გაცნობისა და მტკიცებულებების შეჯერების შედეგად დაადგინა, რომ ბრალდების მხარემ ნუგზარ ახალაიას წინააღმდეგ არასაკმარისი მტკიცებულებები წარადგინა. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. კოდექსის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო დარეჯან კიკვაძე, რომელსაც ბრალი დაედო მოქალაქე ი.ქ-ს კუთვნილი ნივთების თვითნებურად დაუფლებაში. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლო განხილვისას ბრალდებულმა დ.კიკვაძემ განაცხადა, რომ პარტნიორთან ი.ქ-სთან ერთად ეკონომიკური საქმიანობისთვის შეძენილი ნივთები მან შესანახად წაიღო მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი არ დაკარგულიყო ან არ განადგურებულიყო, რადგანაც, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საწარმო ფუნქციონირებას აღარ აგრძელებდა. გარდა ბრალდებულის ჩვენებისა, სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დარეჯან კიკვაძის ქმედებაში არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც, იგი უდანაშაულოდ ცნო.

ყალბი პლასტიკური ბარათებით განხორციელებული საბანკო ოპერაციები

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ყალბი პლასტიკური ბარათების გამოყენების ფაქტზე მიმდინარე საქმის განხილვა.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულებმა არმენ სარქისიანმა, ოგანეს ოგანესიანიანმა და კარენ კარაპეტიანმა გამოძიებისთვის დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, შეიძინეს უცხოეთის ბანკების თვრამეტი ყალბი პლასტიკური ბარათი.

2011 წლის 25 იანვარს არმენ სარქისიანი, ოგანეს ოგანესიანი და კარენ კარაპეტიანი ყალბი პლასტიკური ბარათების გამოყენების მიზნით სომხეთის რესპუბლიკიდან თბილისში ჩამოვიდნენ.

2011 წლის 26 იანვარს არმენ სარქისიანი, ოგანეს ოგანესიანი და კარენ კარაპეტიანი მივიდნენ თბილისში მდებარე სხვადასხვა ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის მაღაზიებში, სადაც ყალბი პლასტიკური ბარათებით, მაღაზიაში არსებული პოსტერმინალების გამოყენებით განხორციელებული უკანონო ტრანზაქციების საშუალებით, რამდენიმე მობილური ტელეფონის აპარატი და პორტარტული კომპიუტერი შეიძინეს.

ბრალდებულთა მიერ განხორციელებული უკანონო ანგარიშსწორებები შეამჩნია ბანკის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ დააკავა არმენ სარქისიანი, ოგანეს ოგანესიანი და კარენ კარაპეტიანი. ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ამოიღეს ყველა ყალბი პლასტიკური ბარათი და მათ მიერ უკანონოდ შეძენილი ნივთები.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ და გამოიყენეს კანონით მინიჭებული დუმილის უფლება, თუმცა სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით - ბრალდებულთა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით, ამოღების ოქმით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით, მოწმეთა ჩვენებებით, დათვალიერების ოქმებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მასალებით, სრულად დადასტურდა არმენ სარქისიანის, ოგანეს ოგანესიანისა და კარენ კარაპეტიანის მიმართ წარდგენილი ბრალდება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არმენ სარქისიანი, ოგანეს ოგანესიანი და კარენ კარაპეტიანი დამნაშავედ ცნო დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად, თითოეულს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

შეკვეთილი მკვლელობის საქმის განხილვა დასრულდა

სააპელაციო სასამართლომ ინგა წულაძეს მეუღლის გიორგი წულაძის შეკვეთილი მკვლეობის ორგანიზებისათვის 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მკვლელობის უშუალო შემსრულებელ ზურაბ სოლომნიშვილს უვადო პატიმრობა, ხოლო შუამავლს, ოჯახის ძიძა ელენე თუშიშვილს 16 წლით პატიმრობა განუსაზღვრა.

საქმის მასალებით, 2009 წლის აპრილში ოჯახური კონფლიქტის გამო ინგა წულაძემ მისი მეუღლის მოკვლა გადაწყვიტა. ის თავისი მოახლის ელენე თუშიშვილის და მდგმურის ზვიად საყვარელიძის მეშვეობით დაუკავშირდა ზ. სოლომნიშვილს, ვინც დასთანხმდა 5 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ მოეკლა მისი მეუღლე. მათ შეიმუშავეს გეგმა და ზ. სოლომნიშვილს მიაწოდეს გ. წულაძის გადაადგილების მარშუტი. 29 აპილს, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზ. სოლომნიშვილი ჩაუსაფრდა გ. წულაძეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

მკვლელობიდან მეორე დღეს ი. წულაძემ შესრულებული სამუშაოსათვის ზ. სოლომნიშვილს გასამრჯელო - 5000 აშშ დოლარი გადაუხადა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო როგორც მკვლელობაში მონაწილე, შუამავლის ზ. საყვარელიძის განთქმითი ჩვენების, ასევე, მსჯავრდებულთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე.

მსჯავრდებულს სასჯელი 24 წლით შეუმცირდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თაღლითობისათვის მსჯავრდებულ ზ.რ-ს სასჯელი 30-დან 6 წლამდე შეუმცირდა. გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მსჯავრდებულის დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვით, ბრალზე გარიგების საფუძველზე მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

საქმის მასალების მიხედვით, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის» ლანჩხუთის მომსახურეობის ცენტრის ტექნიკოს-ელექტრიკოსმა ზ.რ-მ არაერთხელ მიითვისა მოსახლეობიდან შეგროვილი მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარი თანხა. სისხლის სამართლის საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ ზ.რ-ს მიმართ გასაჩივრებული განაჩენით შერაცხული მსჯავრი დადასტურებულად მიიჩნია. საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან, დანაშაულის სიმძიმისა და ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე დაადგინა, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის სახე და ზომა სამართლიანია.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სს კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლება და კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელი დანიშნა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ზ.რ-ს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com